

## საქართველოს კანონი

### "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონში /გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებები 1995 წელი - №31-33/ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. სხვა კატეგორიის პირებისათვის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და სამშვიდობო ოპერაციების ვეტერანის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ  
სააკაშვილი